

## სტუ-ს საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ბაზაზე მომუშავე სკოლის მოსწავლეთა წარმატება ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონკურსში

14-19 სექტემბერს დუბლინში (ირლანდია) ევროკავშირის ეგიდით გამართულ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონკურსში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ბაზაზე მომუშავე სკოლის მოსწავლეებმა - შორენა გუჯაბიძემ, მარინა გუჯაბიძემ და დეა ილარიონოვამ უმაღლესი პრიზი მიიღეს.



აღსანიშნავია, რომ კონკურსში თანაბარი უფლებით მონაწილეობდნენ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტები (21 წლის ასაკამდე), ასევე, სკოლის მოსწავლეები (15-18 წლის ასაკისა).

წლებანდელი კონკურსის უმაღლესი ჯილდო 88 წარმოდგენილი ნაშრომიდან 9 ნაშრომს მიენიჭა, როგორც ფუნდამენტური, ისე საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერების დარგებიდან, ფიზიკის განხრით გაიცა მხოლოდ ერთი უმაღლესი პრიზი (3500 ევრო), რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ბაზაზე მომუშავე სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს.

კონკურსის შედეგების ოფიციალური ბიულეტენი იხილეთ [აქ](#).